

მედეგობის გზაზე COVID-19-ით  
გამონჯვეული კრიზისისადმი  
საქართველოსა და სომხეთში

With funding from  
 Austrian  
Development  
Cooperation



# გზამკვლევი ხანდაზმულთათვის

გოლენისის მუნიციპალიტეტი



## აღნიშნული დოკუმენტი შეიქმნა პროექტის “მედეგობის გაზრდა COVID-19-ით გამოწვეული კრიზისისადმი საქართველოსა და სომხეთში” ფარგლებში.

Covid-19-ის პანდემიამ საქართველოსა და სომხეთში გამოიწვია უპრეცედენტო სოციალური და ეკონომიკური არეულობა, რამაც ასევე ძლიერ იმოქმედა ადგილობრივ თემებში ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. პანდემიის უარყოფით შედეგებთან საბრძოლველად და დაზარალებული ქალების, გოგონების, მამაკაცებისა და ბიჭების მედეგობის გასაზრდელად, Hilfswerk International-ი ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაცია იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ - სთან ერთად, მონაწილეობს პროექტში „Covid-19-ზე მდგრადი რეაგირება სომხეთსა და საქართველოში“.

პროექტი ხორციელდება Hilfswerk International-ის მიერ [www.hilfswerk.at/international/en](http://www.hilfswerk.at/international/en) იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“-სთან ერთად, რომელიც ხორციელდება კონსორციუმში ავსტრიის წითელ ჯვარსა და კარიტას ავსტრიასთან და ასევე მათ ადგილობრივ პარტნიორებთან - საქართველოს წითელ ჯვართან, სომხეთის წითელი ჯვრის საზოგადოებასა და სომხეთის კარიტასთან ერთად.

### პროექტის - „Covid-19-ზე მდგრადი რეაგირება სომხეთსა და საქართველოში“ ფარგლებში ქართველი პარტნიორების საკონტაქტო ინფორმაცია:

#### HILFSWERK GEORGIA

პროექტის რეგიონალური მენეჯერი - Nicole Maria Bauer/ ნიკოლ მარია ბაუერი  
ელ. ფოსტა: [nicole.bauer@hilfswerk-international.at](mailto:nicole.bauer@hilfswerk-international.at)  
ვებგვერდი: [www.hilfswerk.at/international/en](http://www.hilfswerk.at/international/en)

#### იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია “თანხმობა”

მის.: აღმაშენებლის #106/ მარჯანიშვილის, კორპუსი #3, ბინა 48, თბილისი, საქართველო  
ვებგვერდი: [www.idpwa.org](http://www.idpwa.org)  
თავმჯდომარე: იულია ხარაშვილი  
ტელ.: 591 11 60 20  
ელ. ფოსტა: [julia.kharashvili@yahoo.com](mailto:julia.kharashvili@yahoo.com)

პროექტის კოორდინატორი: თამარ ინალიშვილი

ტელ.: 577 20 99 40  
ელ. ფოსტა: [tinalishvili@yahoo.com](mailto:tinalishvili@yahoo.com)



გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ

# სარჩევი

შესავალი .....	4
ფსიქო-სოციალური განვითარების კონცეფცია, აქტიური დაბერების აღწერა .....	5
მეთოდოლოგია .....	7
ინფორმაცია ბოლნისის მუნიციპალიტეტის შესახებ .....	8
<b>ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამები .....</b>	<b>11</b>
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები .....	11
<b>ცენტრალური მთავრობის ტერიტორიული ერთეულები .....</b>	<b>18</b>
<b>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო .....</b>	<b>18</b>
<b>სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო .....</b>	<b>19</b>
სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი .....	20
<b>აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა .....</b>	<b>25</b>
იუსტიციის სამინისტრო .....	27
არასამთავრობო ორგანიზაციები .....	29
<b>მაღალმთიანი რეგიონის სტატუსი .....</b>	<b>31</b>
ინფორმაცია ადგილობრივი საავადმყოფოების შესახებ .....	34
კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამები .....	35
მუზეუმები .....	35
კულტურული დაწესებულებები .....	37
ბოლნისის ბიბლიოთეკა .....	39
ბოლნისის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობები .....	39
ინფორმაცია ადგილობრივი ტრანსპორტის შესახებ .....	42
COVID-19-თან დაკავშირებული საკითხები: სიმპტომები, პრევენცია, ცხელი ხაზი .....	43
ქვეყანაში მოქმედი ცხელი ხაზები .....	45
<b>კოვიდ -19 ის სანინააღმდეგო ვაქცინაცია .....</b>	<b>46</b>
<b>ხანდაზმულთა უფლებების დაცვა .....</b>	<b>48</b>
<b>გენდერი და ხანდაზმულობა .....</b>	<b>49</b>

# შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ხანდაზმულთათვის შექმნას მომსახურებების რუქა, რათა ხელი შეუწყოს მათ და მათზე მზრუნველ პირებს, სპეციალისტებს ერთ სივრცეში თავმოყრილად იხილონ ხანდაზმულთა მხარდამჭერი მომსახურებები და მიიღონ ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ. დოკუმენტის სამიზნე ჯგუფია ხანდაზმულები, მათი ოჯახის წევრები, მზრუნველები, მომვლელები, ხანდაზმულთა საკითხებზე მომუშავე პირები და უშუალოდ მათთან მომუშავე სპეციალისტები. დოკუმენტი მოკლედ აღწერს სხვადასხვა მხარდამჭერ სამთავრობო და არსამთავრობო მომსახურებების შინაარსს და მომსახურებებში ჩართვის კრიტერიუმებს, მაგალითად ინფორმაციას ჯანდაცვის და სოციალური მომსახურებების, კულტურული და გამაჯანსაღებელი მომსახურებების შესახებ, ამას გარდა სამედიცინო დაწესებულებების, კოვიდ 19-ის პანდემიის პრევენციული ღონისძიებების შესახებ. დამატებით, დოკუმენტში მოკლედ წარმოდგენილია ინფორმაცია ხანდაზმულთა უფლებების და უფლებადამცველი ორგანიზაციების შესახებ და სხვა.

დოკუმენტის საშუალებით გვსურს შევექმნათ ხანდაზმულთა საჭიროებაზე მორგებული საინფორმაციო დოკუმენტის გამოყენების პრაქტიკა, რომელიც კონცენტრირებული იქნება რეგიონის სპეციფიკაზე, იქნება მარტივად გადმოცემული, სწრაფად წაკითხვადი, სხვადასხვა საჭიროების მქონე პირზე მორგებული. დოკუმენტი მიზნად არ ისახავს მომსახურების ყველა დეტალის დატანას და აღწერას, ვითვალისწინებთ რა დოკუმენტის როლს და მიზანს. ვფიქრობთ, დეტალებზე ინფორმაციისთვის ხანდაზმულებს სოციალური მუშაკები, მერის უფლებამოსილი წარმომადგენლები, ექიმები და სხვა სპეციალისტები დაეხმარებიან შერჩეული მომსახურების შესაბამისად (ან დაეხმარებიან შერჩევაში). აგრეთვე, აღნიშნული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ხანდაზმულთა უფლებების ადვოკატობის მიმართულებით.

ამასთან, აღნიშნული დოკუმენტი გათვლილია პროექტში ჩართული ხანდაზმულებისთვის, ხანდაზმულთა საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებისთვის, მოხალისეებისთვის და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის.

# ფსიქო-სოციალური განვითარების კონცეფცია, აქტიური დაბერების აღწერა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის<sup>1</sup>, 2023 წლის 1 იანვრის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3 736 357 ადამიანს. 60+ მოსახლეობის რაოდენობა კი მთელი ქვეყნის მასშტაბით შეადგენს 830 275, მათ შორის ქალების რაოდენობაა 502 610, ხოლო მამაკაცების რაოდენობა 327 665. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მონაცემებით 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 15,5%-ია.

ასაკში შესვლა ხანგრძლივი, უწყვეტი პროცესია და არ არსებობს მომენტი, როდესაც ადამიანი უცაბედად იგრძნობს დაბერებას. დაბერება ბიო-ფსიქო-სოციალური პროცესია და არ გულისხმობს აუცილებლად ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გაჩენას ასაკთან ერთად.

**საზოგადოებაში ხანდაზმულების მიმართ გარკვეული დამოკიდებულებები და სტერეოტიპები არსებობს. უარყოფითი სტერეოტიპის ერთ-ერთი გამოხატულებაა განსაკუთრებული დამოკიდებულება ასაკოვანი ადამიანებისადმი, ანუ, ეგრეთ წოდებული „ეიჯიზმი“ (ageism). ეიჯიზმს მიყვავართ ხანდაზმული ინდივიდების დისკრიმინაციამდე და გულისხმობს მათი შესაძლებლობების შეზღუდვასა და იზოლირებას.**

ბუნებრივია, ასაკის მატებასთან ერთად იცვლება ბიოლოგიური პროცესები, ბერდება კანი, ორგანოები აღარ მუშაობენ ისე გამართულად, თუმცა ეს ყოველივე ინდივიდუალურია და შესაბამისად ინდივიდუალურია ადამიანის საქრობები.

ეიჯიზმი სწორედ ამ ინდივიდუალობას არ ითვალისწინებს და გვთავაზობს ზოგად და განსჯით ხედვას ადამიანებისადმი, რაც ერთმნიშვნელოვნად არღვევს ადამიანის უფლებებს. ხანდაზმულობა, შედეგების მომკის პერიოდია, თუმცა არ ნიშნავს დასასრულს.

მსოფლიოში და საქართველოში არაერთი მაგალითია, იმის, თუ რამდენად აქტიური შეიძლება იყოს ხანდაზმული ადამიანი, შექმნას დოვლათი, იყოს ლიდერი, ქვეყნის ლიდერი, მასწავლებელი, იმუშაოს მიწასთან, იყოს სოციალურად აქტიური და ა.შ. ეს ყოველივე კი მისი სურვილის მიხედვით.

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>

ადამიანის საჭიროებები სამ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ: ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური. ყველას, ბავშვობიდან ხანდაზმულობის ჩათვლით სჭირდება სამივე სფეროში იყოს დაკმაყოფილებული. მაგალითად, იყოს ჯანმრთელი (ბიოლოგიური), ჰქონდეს საშუალება გაუმკლავდეს ცხოვრებისეულ მოვლენებს ფსიქოლოგიურად და ჰქონდეს მედეგობა პრობლემების მიმართ (ფსიქოლოგიური) და ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს განათლება, დასაქმდეს, იყოს სოციალურად აქტიური (სოციალური) - სწორედ ეს უქმნის ადამიანს ბიო-ფსიქო-სოციალურ ბალანსს. მომსახურებებიც აღნიშნულ მიდგომას უნდა ითვალისწინებდეს, მაგალითად, ხანდაზმულთა მომსახურებები მხოლოდ მედიკამენტის მიწოდებას არ უნდა გულისხმობდეს, არამედ საჭიროების შემთხვევაში უნდა მოიცავდეს: ფსიქოლოგის კონსულტაციას საჭიროების მიხედვით, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური აქტიურობის ხელშეწყობას და ა.შ. როდესაც, ხანდაზმულს აქვს შესაბამისი მხარდაჭერა, ის უფრო მეტად აქტიურია, ჩართულია საზოგადოებრივ საქმიანობაში.

თუმცა, ეს მხოლოდ შესაბამისი სოციალური პოლიტიკის ხელშეწყობითაა შესაძლებელი. ყოველდღიური ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებულ ხანდაზმულს, შესაძლოა აღარ დარჩეს დრო და სივრცე იმისთვის, რომ იფიქროს და იზრუნოს თავისი ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებზე. აგრეთვე, ხშირად ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობაც განსაზღვრავს ადამიანების ჩართულობას მომსახურებებში. მნიშვნელოვანია, ყველა ხანდაზმულს ჰქონდეს მომსახურებების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა მისთვის ხელსაყრელი გზით და მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, ხანდაზმულთა საკითხებზე მომუშავე სპეციალისტიც ასევე აღჭურვილი იყოს შესაბამისი უნარებით და ცოდნით. აქედან გამომდინარე, აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს ხანდაზმულთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით მომსახურებების შესახებ ინფორმაციაზე წვდომას.

ასევე, უნდა აღვნიშნოთ, რომ მნიშვნელოვანია ხანდაზმულთა თემი თავადაც იყოს აქტიური, მიმართოს სახელმწიფოს ცვლილებებისთვის, მოითხოვოს მომსახურებების განვითარება და არსებული მომსახურებების ცვლილება საჭიროებების გათვალისწინებით. საკუთარი ძალებით და/ან სოციალური მუშაკების დახმარებით.

ამიტომ, გადავწყვიტეთ დოკუმენტში მოგვეთავსებინა, ერთი მხრივ ხანდაზმულებისთვის (60+) ინფორმაცია ბოლნისში მოქმედი ჯანდაცვის, სოციალური და სხვა პროგრამების შესახებ. ხოლო მეორე მხრივ, დავხმარებოდით ხანდაზმულებს, რომ უკეთ იყვნენ ინფორმირებულნი სხვადასხვა მომსახურებაში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ.

# მეთოდოლოგია

2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოძიებული და გაანალიზებული იქნა ინფორმაცია ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის და სახელმწიფო პროგრამების, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ხანდაზმულებს სთავაზობენ სხვადასხვა მომსახურებას. ამასთან, მოძიებული იქნა ინფორმაცია ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებების, უფლებადამცველი ორგანიზაციების, კოვიდ 19-ის პანდემიის პრევენციული ღონისძიებების შესახებ, ადგილობრივი ტრანსპორტის, კულტურული ღონისძიებების შესახებ და სხვა. ქვემოთ გამოყენებული ინფორმაცია, ბოლნისის მუნიციპალიტეტის პროგრამების შესახებ ეყრდნობა წერილობით გამოთხოვილ ოფიციალურ ინფორმაციას. დამატებით, ინფორმაციის მისაღებად გამოყენებულია ბოლნისის მერიის ვებგვერდი ([www.bolnisi.gov.ge](http://www.bolnisi.gov.ge))<sup>2</sup>, 2023 წლის დადგენილება-ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ<sup>3</sup> და „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი“<sup>4</sup>.

რაც შეეხება, სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციას, იგი ეყრდნობა, 2023 წლის ოქტომბერის თვეში გამოთხოვილ მონაცემებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან, სოციალური მომსახურების სააგენტოდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან.

არასამთავრობო ორგანიზაციების მომსახურებებთან დაკავშირებით, ერთი მხრივ ინფორმაცია მოწოდებულია მუნიციპალიტეტის მხრიდან, თუ რომელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობენ და მეორე მხრივ, ჩატარდა დამატებითი მოკვლევა არასამთავრობო ორგანიზაციების და სატელეფონო გამოკითხვა, სახელმძღვანელოს სრულყოფილად შემუშავებისთვის.

დაბოლოს ინფორმაცია საავადმყოფოების, სამედიცინო დაწესებულებების, კულტურული დაწესებულებების და ღონისძიებების, ტრანსპორტის და COVID-19-ის შესახებ მოძიებულია ოფიციალური განცხადებებიდან, ვებგვერდებიდან და სატელეფონო გამოკითხვიდან, რომელიც განხორციელდა 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

2 ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://bolnisi.gov.ge/>


3 ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის დადგენილება ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5647872?publication=0>

4 ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი - <https://bolnisi.gov.ge/sasargeblo-informacia1/socialuri-programebi/1458-bolnisis-municipalitetis-adgilobrivi-biujetidan--socialuri-daxmare-bis-gacemisa-da-mighebis-tsese.html>

# ინფორმაცია ბოლნისის მუნიციპალიტეტის შესახებ

ბოლნისის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს, მდინარე მაშავერას შუა დინებაში, ზღვის დონიდან 550 მეტრის სიმაღლეზე, თბილისიდან 64 კილომეტრში. ბოლნისი მდებარეობს რკინიგზის სადგური მარნეულ-კაზრეთის ხაზზე. ბოლნისის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება მარნეულის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით დმანისის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით-თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთით სომხეთის რესპუბლიკა. მუნიციპალიტეტის ფართობია – 804,2 კმ<sup>2</sup>.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, ბოლნისის მოსახლეობა შეადგენს 53,590 ათას მოსახლეს<sup>5</sup>. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის (საქსტატი) მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით (წერილი #2498-9-2-202310121000), მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 10 113 ათასი ხანდაზმულია (60+), რომელთაგან ქალაქ ბოლნისის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულია -2 354, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 7 759, აქედან - 4 164 კაცია და 5 949 - ქალი, მათ შორის 137 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია.



ბოლნისის მუნიციპალიტეტი აერთიანებს 49 დასახლებულ პუნქტს და 1 ქალაქს. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბოლნისი, სადაც განთავსებულია ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია. ხოლო მუნიციპალიტეტის სამართავად შექმნილია 14 ადმინისტრაციული ცენტრი. მათ შორისაა: (1) კაზრეთი (დაბა კაზრეთი, სოფელი ბალიჭი); (2) თამარისი (დაბა თამარისი, სოფლები: ცურტავი, ფარიზი); (3) ნახიდური (სოფლები: ნახიდური, ხიდისყური, მუხრანა, ბალახაური, ჭაპალა, მწყნეთი); (4) ტალავერი (სოფლები: ტალავერი, სავანეთი); (5) მამხუტი (სოფლები: მამხუტი, ზემო არქევანი, ქვემო არქევანი, ხატავეთი); (6) რაჭისუბანი (სოფლები: რაჭისუბანი, სამტრედო, ვანათი, ხატისოფელი); (7) რატევნი (სოფლები: რატევანი, ზვარეთი); (8) სოფელი ქვემო ბოლნისი (სოფელი ქვემო ბოლნისი); (9) ბოლნისის ცენტრი (სოფლები: ბოლნისი, ზემო ბოლნისი, სამწევრისი, ფოლადაური); (10) აკაურთი (სოფლები: აკაურთა, ძეძვნარიანი, ფოცხვერიანი, იწრია, ძველი ქვეში, გეტა, ბერთაკარი, სენები); (11) დარბაზი (სოფლები: დარბაზი, წიფორი, ხახალაჯვარი, ჭრეში); (12) სოფელ ტანძია; (13) ქვეში (სოფლები: ქვეში, ჭავჭავიანი, კიანეთი, მუშევანი, საბერეთი); (14) სოფელ დისველი<sup>6</sup>.

5 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო - <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>

6 ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრები <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1273793?publication=0>



## ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N106

ტელ: 0358222555

ელ-ფოსტა: [bolnisi.municipality@bolnisi.gov.ge](mailto:bolnisi.municipality@bolnisi.gov.ge)

ვებ-გვერდი: [www.bolnisi.gov.ge](http://www.bolnisi.gov.ge)

**სამუშაო დღეები:**

ორშაბათი - პარასკევი 10:00 -18:00

**ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი**

იროდი უგრეხელიძე

ტელ: 599 90 97 47



## ბოლნისის მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში<sup>6</sup>

წარმომადგენელი	ადმინისტრაციული ერთეული	ტელეფონი	ელ.ფოსტა
დimitრი მოდებაძე	ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩ. N106	511 28 22 20	dimitri.modebadze@bolnisi.gov.ge
ზურაბ შაინიძე	სოფელი დისველი	599 85 99 34	z.shainidze@bolnisi.gov.ge
ელიმხან გაჯიევი	სოფლები: აკაურთი, ძეძვნარიანი, ფოცხვერიანი, ინრი, ძველი ქვეში, გეტა, ბერთაკარი და სენე	599 85 97 99	e.gajiev@bolnisi.gov.ge
რასმია სალახლი	სოფლები: მამხუტი, ზემო არქევანი, ქვემო არქევანი და ხატავეთი	599 85 99 24	rasmia.salakhlie@bolnisi.gov.ge
დავით ჯაყელი	დაბა კაზრეთი და სოფელი ბალიჭი	551 43 43 74	d.jakeli@bolnisi.gov.ge
ალი გურბანოვი	დაბა თამარისის, სოფელი ცურტავი, სოფელი ფარიზი	599 85 99 33	ali.gurbanovi@bolnisi.gov.ge
ვაზირ ლაზგიევი	სოფლები: დარბაზი, ნიფორი, ხახალაჯვარი, ქრეში	599 85 99 27	vazir.lazgievi@bolnisi.gov.ge
რობიზონ სელიმაშვილი	სოფლები: ქვეში, ჯავშანიანი, კიანეთი, მუშევანი, საბერეთი	599 85 99 30	robizon.selimashvili@bolnisi.gov.ge
მამუკა ჩაჩანიძე	სოფლები: რატევანი და ზვარეთი	599 85 99 29	mamuka.chachanidze@bolnisi.gov.ge
არმენ არუთიუნიანი	სოფლები: ბოლნის, ზემო ბოლნისი, სამწვერისი, ფოლადაური	595 21 21 52	a.arutiniani@bolnisi.gov.ge
თაღეს აივაზოვი	სოფლები: ნახიდური, ხიდისყური, მუხრანა, ბალახაური, ჭაპალა, მწყნეთი	599 85 99 23	talekh.aivazovi@bolnisi.gov.ge
ნუგზარ რეხვიაშვილი	სოფლები: რაჭისუბნი, სამტრედო, ვანათი, ხატისოფლი	599 85 99 31	nugzar.rekhvashvili@bolnisi.gov.ge
ნოვრუზ აივაზოვი	სოფლები: ტალავერი, სავანეთი	599 85 99 26	novruz.aivazovi@bolnisi.gov.ge
ავთანდილ გაბლიანი	სოფელ ტანძია	591 75 06 03	avtandil.gablani@bolnisi.gov.ge
უმბათ ტუკანოვი	სოფელი ქვემო ბოლნისი	599 85 99 22	umbat.tukanovi@bolnisi.gov.ge

7 მერიის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში - <http://bolnisi.gov.ge/gameoba/gameblis-tsarmomadgenlebi-administraciul-erteulebshi>

# ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამები

ქვემოთ განხილულია ბოლნისის მერიის მუნიციპალური პროგრამები. წარმოდგენილი პროგრამები, როგორც ჯანდაცვის ისე სოციალური არის ერთჯერადი, წლის განმავლობაში. ხოლო მათი განახლება, დახვეწა ან შეცვლა ხდება ყოველწლიურად. პროგრამით სარგებლობის მსურველებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, უნდა მიმართონ ბოლნისის მუნიციპალიტეტს განცხადებით, რათა შეძლონ სარგებლობა ამა თუ იმ ერთჯერადი პროგრამით/დახმარებით. აქ წარმოდგენილი ჯანდაცვის და სოციალური პროგრამები არის 2023 წლის “ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის ფარგლებში შემუშავებული”, რომლით სარგებლობაც ბენეფიციარებს შეუძლიათ 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით, ერთჯერადად. ქვემოთ წარმოდგენილია, მხოლოდ ის მუნიციპალური პროგრამები, რომელთა სამიზნე ჯგუფი ან ერთ-ერთი სამიზნე ჯგუფია ხანდაზმულები (60+).

## ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები

**1. ქრონიკული დაავადებებით დაავადებულ ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (რასაც სრულად ან საერთოდ არ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა, რეფერალური პროგრამები და სხვა დაზღვევები). დახმარება მედიკამენტებით მკურნალობის უზრუნველსაყოფად თითოეულ ბენეფიციარზე განსაზღვრულია 2000 ლარი, წლის განმავლობაში.**

**პროგრამით მოსარგებლები არიან შემდეგი ქრონიკული დაავადებების მქონე პირები:**

- ა) ეპილეფსია;
- ბ) პარკინსონი;
- გ) ბრონქიალური ასთმა;
- დ) ფილტვის ქრონიკული ობსტრუქცია;
- ე) ონკოლოგიური დაავადებები (ავთვისებიანი სიმსივნეები);
- ვ) შიზოტიპური აშლილობა.

**2. სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამა (რასაც სრულად ან საერთოდ არ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა, რეფერალური პროგრამები და სხვა დაზღვევები)**

**პროგრამით მოსარგებლები**

- ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბენეფიციარები
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარები

- ფარისებრი ჭირკვლით დაავადებული პირები
- ომისა და სამხედრო ძალის ვეტერანები
- იძულებით გადაადგილებულ პირები

**სამედიცინო დახმარება გათვლილია:**

- ა) სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისათვის
- ბ) დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის
- გ) მედიკამენტური მკურნალობისთვის (მხოლოდ ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევაში)

შენიშვნა: მე-10 მუხლით გათვალისწინებული დახმარებები ბენეფიციარს გაეწევა იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო მომსახურებას მიიღებს სამედიცინო დაწესებულებაში, რომელიც მონაწილეობს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში.

**3. სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების სამედიცინო უზრუნველყოფა პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს და ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში, გარდა იმ ოჯახებისა, რომელთაც ჰყავთ 16 წლამდე ასაკის წევრი და სარეიტინგო ქულა არ აღემატება 130 000-ს.**

**სამედიცინო დახმარება გაეწევა:**

- ა) სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისათვის
- ბ) დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის
- გ) მედიკამენტური მკურნალობისთვის

**სოციალური პროგრამები**

**1. ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარებით უზრუნველყოფის პროგრამა პროგრამით მოსარგებლები**

- სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000-ს
- სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 150 000-მდე და ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში, გარდა იმ ოჯახებისა, რომელთაც ჰყავთ 16 წლამდე ასაკის წევრი და სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს
- უკიდურესად შეჭირვებული ოჯახები, რომელთაც ჰყავთ სასკოლო ასაკის ბავშვები, სასკოლოდ შესაბამისი საჭიროებების შესაძენად ერთჯერადად, ოჯახის/თემის სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე
- ასი და მეტი წლის ხანდაზმული
- „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული მსხვერპლი

## 2. შებენიანი შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარების ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა

### პროგრამით მოსარგებლები

- მხედველობის მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შებენიანი შესაძლებლობების მქონე 18 წელზე მეტი ასაკის ბენეფიციარები
- დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ის ბენეფიციარები, რომლებიც მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სამედიცინო დაწესებულებებში იღებენ სამედიცინო მომსახურებას. აგრეთვე, ის ბენეფიციარები, რომლებიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სამედიცინო დაწესებულებებში იღებენ სამედიცინო მომსახურებას
- ბენეფიციარებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და საჭიროებენ მუდმივ მომვლელს

## 3. სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის სეზონზე მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის პროგრამა - გათბობის სეზონის დასაწყისში ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც არ მიენიშება ბუნებრივი გაზი, ერთჯერადი ფულადი დახმარება - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით

### პროგრამით მოსარგებლები

- სოციალურად დაუცველი (65 000-მდე სარეიტინგო ქულა) მარტოხელა პენსიონერები;
- სოციალურად დაუცველი (65 000-მდე სარეიტინგო ქულა) შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირების ოჯახები;
- სოციალურად დაუცველი (65 000-მდე სარეიტინგო ქულა) მრავალშვილიან (სამი და მეტი არასრულწლოვანი) ოჯახები.

## 4. ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა - არაუმეტეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით

### პროგრამით მოსარგებლები

- სოციალურად დაუცველი უსახლკარო - მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა

არ აღემატება 120 000-ს და აღნიშნული ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში, გარდა იმ ოჯახებისა, რომელთაც ჰყავთ 16 წლამდე ასაკის წევრი.

- „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში აღკვეთის, ძალადობის, მსხვერპლთა დაცვის და დახმარების“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული მსხვერპლი.

### **5. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა**

#### **პროგრამით მოსარგებლები**

- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები (9 მაისს)
- 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს გარდაცვლილთა ოჯახები მიმდინარე წლის 8 აგვისტოს (ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი)
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახები მიმდინარე წლის 27 სექტემბერს (ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი)

### **6. სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა**

გასულ და მიმდინარე წლებში სტიქიის (უპირატესად დამანგრეველი ხასიათის ბუნების მოვლენის - მიწისძვრა, სეტყვა, წყალდიდობა, დიდთოვლიანობა, ქარიშხალი, მენყერი, ღვარცოფი), ხანძრის, სხვა უბედური და ფორსმაჟორული შემთხვევის შედეგად საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზიანის აღსადგენად, დაზარალებულ ოჯახებს ერთჯერადი მატერიალური დახმარება. დახმარება გაიცემა ზარალის ოდენობის შესაბამისად, აღნიშნული საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის დასკვნისა და მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

**გარდა ამისა, დაზიანებული (ან დაუსრულებელი) საცხოვრებელი სახლების აღდგენა (მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა/დასრულება) ხდება შემდეგი კატეგორიის ოჯახებისათვის:**

- ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა ოჯახებისათვის (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ს);

- სტიქიის შედეგად მაღალმთიანი რაიონებიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს), რომელთა სახლებიც არ არის საცხოვრებლად ვარგისი;
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და რომლებსაც 65 000-დან 100 000-მდე ქულა მინიჭებული აქვთ 2018-2019 წლებში), რომელთაც ჰყავთ სამი ან მეტი შვილი და საცხოვრებელი სახლები არ არის საცხოვრისად ვარგისი;
- სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერებისათვის (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს), რომელთა საცხოვრებელი სახლებიც არ არის საცხოვრებლად ვარგისი;
- ოჯახებისათვის, რომლებიც იმყოფებიან უკიდურეს ეკონომიკურ გასაჭირში და დახმარების გაცემის მომენტში ვერ ხვდებიან ამ მუხლით გათვალისწინებულ კატეგორიებში.

## 7. სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახების კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა

### პროგრამით მოსარგებლები

- ქალაქ ბოლნისში, დავით აღმაშენებლის ქ. უ/ნ-ში და დაბა კაზრეთში მდებარე სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ბენეფიციარების კომუნალური ხარჯები თითოეულ ოჯახზე: ელექტროენერგია 250კვ/სთ – ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით; ბუნებრივი აირი – გათბობის სეზონზე (15 ნოემბრიდან 15 აპრილამდე) თვეში 250მ3, ხოლო ზაფხულის სეზონზე თვეში 50მ3, ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით;
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ქ. ბოლნისში, სიონის ჩიხის №1-ში მდებარე სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ბენეფიციარების კომუნალური ხარჯები თითოეულ ოჯახზე: ელექტროენერგია სრულად – საერთო მრიცხველის ჩვენების მიხედვით; ბუნებრივი აირი – გათბობის სეზონზე (15 ნოემბრიდან 15 აპრილამდე) თვეში 250მ3, ხოლო ზაფხულის სეზონზე თვეში – 50მ3, ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით;

გარდა, „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის“ ფარგლებში არსებული პროგრამებისა, ბოლნისის მუნიციპალიტეტი ხანდაზმულებს სთავაზობს შემდეგი სახის მომსახურებებს:

## **ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბოლნისის სათნოების სახლი**

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, 2007 წლიდან ფუნქციონირებს „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბოლნისის სათნოების სახლი“. სათნოების სახლის მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, უმწეო, მართხელა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხანდაზმული ადამიანების მოვლა-პატრონობა. ბოლნისის სათნოების სახლში, ამ დროისთვის ირიცხება 15 მიუსაფარი ხანდაზმული.

### **სათნოების სახლი ხანდაზმულებს სთავაზობს:**

- მოვლა-პატრონობას;
- პირველად სამედიცინო მომსახურებას;
- ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სისტემატიურ მეთვალყურეობას;
- რაციონალურ, ბალანსირებულ, დიეტურ სამჭერად კვებას;
- მწოლიარე ბენეფიციარების სანიტარულ-ჰიგიენური პროცედურებით უზრუნველყოფას.

გარდა 24 საათიანი მომსახურებისა, „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბოლნისის სათნოების სახლი“ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკიდურესად შეჭირვებულ 350 ბენეფიციარს ერთჯერადი კვებით, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა.

აღნიშნული პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეჭირვებულ ბენეფიციარებს, მათ შორის ხანდაზმულებს. დღეისათვის 350 ბენეფიციარიდან 117 ხანდაზმულია (60+).

**სამუშაო დღეები:** ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა.

**მისამართი:** სულხან-საბა ორბელიანის 102 ბ.





## შინმოვლის პროგრამა

ბოლნისის მუნიციპალიტეტი 2017 წელს, ევანგელისტურ-ლუთერანულ დიაკონურ სამსახურთან ერთად დააფუძნა შინმოვლის სამსახური, რომელშიც ჩართვა შეეძლო ქ.



ბოლნისში, სოფ. რატევანში, სოფ რაჭისუბანში, დაბა კაზრეთში მცხოვრებ სანოლს/სახლს მიჯაჭვულ, მართოხელა და ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებიც უმწეონი იყვნენ დაავადებისა და გაჭირვების წინაშე (პროგრამით სარგებლობდა 9 ბენეფიციარი).

2018 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ დამოუკიდებლად გააგრძელა „შინმოვლის“ სერვისი/პროგრამა, რომლითაც დღემდე სარგებლობს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 30 ხანდაზმული

**ჩართვის კრიტერიუმები:** ამ დროისთვის შინმოვლის პროგრამაში ჩასართავი კრიტერიუმები განერილი არ არის. სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე ხდება ხანდაზმულების ჩართვა პროგრამაში.

## კრიზისული ცენტრი

2017 წლიდან ფუნქციონირებს კრიზისული ცენტრი, რომლის მიზანია უზრუნველყოს პირდაპირი დაცვა და დახმარება, ოჯახური და სექსუალური ძალადობის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების (მათ შორის ხანდაზმული პირების).

პროგრამით მოსარგებლებები: ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, ქალები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

**ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, პროგრამით უზრუნველყოფილია:**

- თავშესაფრით;
- სამედიცინო მომსახურებით;
- ჰიგიენური საშუალებებით;
- კვებით;
- სოციალური მუშაკის მომსახურებით;
- ექთნის მომსახურებით.

ჩართვის წინაპირობად განისაზღვრება ძალადობა ან კრიზისული მდგომარეობა, როდესაც ბენეფიციარს არ აქვს თავშესაფარი და საჭიროებს მას.

# ცენტრალური მთავრობის ტერიტორიული ერთეულები

## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მის: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 144

ტელ.: ( 032 ) 2 51 00 26

ცხელი ხაზი: 15 05

ელ-ფოსტა: [info@moh.gov.ge](mailto:info@moh.gov.ge)

ვებ-გვერდი: <https://www.moh.gov.ge/>



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან  
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შეგიძლიათ მიმართოთ, თუ გესაჭიროებათ ჩამოთვლილი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებიდან შემდეგი<sup>8</sup>:

1. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა (ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება);
2. C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა;
3. დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი;
4. იმუნოზაცია;
5. ეპიდზედამხედველობის პროგრამა;
6. უსაფრთხო სისხლი;
7. ტუბერკულოზის მართვა;
8. აივ ინფექცია/შიდსის მართვა ;
9. ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა;
10. ფსიქიკური ჯანმრთელობა;
11. დიაბეტის მართვა;
12. დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია;
13. პარკინსონისა და ეპილეფსიის სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, შესაბამისი მედიკამენტებით;
14. ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა;

8 ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მოსარგებლეთა გზამკვლევი - [https://moh.gov.ge/uploads/files/2023/jandacva\\_gzamkvlevi/SHTAMP\\_1158368.pdf](https://moh.gov.ge/uploads/files/2023/jandacva_gzamkvlevi/SHTAMP_1158368.pdf)

9 გზამკვლევი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მოსარგებლებებისთვის - <https://nha.moh.gov.ge/ge/c/444>

15. პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა;
16. რეფერალური მომსახურება;
17. ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
18. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა;
19. ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა
20. იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა
21. ახალი კორონა ვირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ შემდეგ ვებგვერდებს:

- გამკვლევი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მოსარგებლეებისთვის - <https://nha.moh.gov.ge/ge/c/444>
- ჯანდაცვის პროგრამების მოსარგებლეთა გამკვლევი - <https://www.moh.gov.ge/ka/760/>

## სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

### სააგენტოს ქვემო ქართლის სოციალური მომსახურების სამსახარო ცენტრი

**მის:** ქ. რუსთავი, ცურტაველის ქ. N5ა;

**ტელ.:** ( 0341 ) 22 06 08

**ცხელი ხაზი:** 15 05

**ელ-ფოსტა:** [info@ssa.gov.ge](mailto:info@ssa.gov.ge)



სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შეგიძლიათ მიმართოთ იმ შემთხვევაში, თუ გესაჭიროებათ ჩამოთვლილი სოციალური დაცვის პროგრამებიდან შემდეგი:

1. სახელმწიფო პენსია (ქალი 60 წ, მამაკაცი 65 წ.);
2. ფულადი სოციალური დახმარება;
3. საყოფაცხოვრებო სუბსიდია;
4. სოციალური პაკეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;
5. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა;
6. სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში.

## **სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი**

**ქვემო ქართლის რეგიონული ცენტრი**

**მის:** ქ. რუსთავი, ცურტაველის ქ. N5ა;

**ტელ.:** ( 0341 ) 22 06 08

**ცხელი ხაზი: 15 05**

**ელ-ფოსტა:** [info@ssa.gov.ge](mailto:info@ssa.gov.ge)

**ვებ-გვერდი:** <http://atipfund.gov.ge/>



ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს შეგიძლიათ მიმართოთ იმ შემთხვევაში, თუ გესაჭიროებათ ჩამოთვლილი პროგრამებიდან შემდეგი:

**ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი ახორციელებს ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების პროგრამას, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მასშტაბით მოქმედებს**  
**ცხელი ხაზი - 116 006.**

ცხელი ხაზის გამოყენება შეუძლიათ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს, ხანდაზმულებს, ბავშვებს, ოჯახის ნებისმიერ წევრს, რომელზეც ხორციელდება ფიზიკური (ცემა, წამება, ფიზიკური შეურაცხყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება..), ფსიქოლოგიური (შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა...), სექსუალური (სექსობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ძალადობით...), ეკონომიკური (საკვებით, საცხოვრებლით სარგებლობის, შრომის უფლებისა და თანასაკუთრებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა...) ძალადობა და ხდება უგულვებელყოფა (მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისგან დაუცველობა....). შესაბამისად, ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას.

## ვინ ითვლება ოჯახში ძალადობის მსხვერპლად?

მსხვერპლი არის ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულბეზღად ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (შემდგომ – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი)<sup>10</sup>.

ფონდი ოჯახში ძალადობის მსხვერპლ პირებს სთავაზობს თავშესაფრის ან კრიზისული ცენტრის მომსახურებას.

### **პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს თავშესაფრის ან კრიზისული ცენტრის ფარგლებში:**

- ფსიქოლოგიურ-სოციალურ დახმარებას/რეაბილიტაციას;
- სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას/მიღებას;
- სამართლებრივი დახმარებას (მათ შორის, სასამართლო და სამართალდამცავ ორგანოებში წარმომადგენლობით) საქმის განხილვის შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებას;
- ოჯახსა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობას ან/და სხვა სახის მომსახურებას;
- დროებითი სადღეღამისო საცხოვრის თავშესაფარში (მხოლოდ მსხვერპლს/დაზარალებულს დამოკიდებულ პირებთან ერთად), რაც მოიცავს კვებით, ჰიგიენის და პირველადი მოხმარების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფას;
- დროებითი სადღეღამისო საცხოვრის კრიზისულ ცენტრში (სავარაუდო მსხვერპლს დამოკიდებულ პირებთან ერთად), რაც მოიცავს კვებით, ჰიგიენის და პირველადი მოხმარების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფას.

10 ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრები <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1273793?pub->

## ხანდაზმულთა პანსიონატები

ხანდაზმულთა პანსიონატში მოთავსებას/ჩარიცხვას ექვემდებარება ხანდაზმული (მამაკაცი 65 წლის ასაკიდან და ქალი 60 წლის ასაკიდან), ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი 60 წლის ასაკიდან, გარდა ფსიქიკური აშლილობის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისა.

წარსადგენი დოკუმენტაცია: პანსიონატში ჩასარიცხად წერილობით უნდა მიმართოთ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს.

პირის ხანდაზმულთა პანსიონატში ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რეგიონული საბჭო (სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სათათბირო ორგანო). ხანდაზმულთა პანსიონატში პირის მოთავსებასთან ერთად რეგიონული საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ პანსიონატში პირის სრული სახელმწიფო დაფინანსებით, თანადაფინანსებით, თუ დაფინანსების გარეშე მოთავსების თაობაზე.

### **პანსიონატში ჩარიცხვას არ ექვემდებარებიან პირები:**

- მწვავე ინფექციური დაავადებით;
- ტუბერკულოზის აქტიური ფორმით;
- აქტიური სიფილისით;
- კანის გადამდები დაავადებით;
- თავისა და ზურგის ტვინის თიაქრების ღია ფორმით;
- ცენტრალური ნერვული სისტემის მწვავე დაავადებით.

### **პანსიონატებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან:**

- ბენეფიციართა სადღეღამისო მომსახურებით;
- დღის განმავლობაში ოთხჯერადი კვებით;
- შემოქმედებითი უნარების განვითარებით;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლებასა და პრაქტიკული ყოფითი უნარების განვითარებით;
- პანსიონატი უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო მომსახურებას, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებას და საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას;
- ფსიქოლოგის მომსახურებით უზრუნველყოფას;
- უზრუნველყოფს ყველა იმ ღონისძიებით, რომელიც ემსახურება ბენეფიციარის სრულფასოვან განვითარებას.

## “სათემო ორგანიზაციებში მომსახურება”

### **სათემო ორგანიზაციებში მომსახურებია გულისხმობს:**

- ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სათემო მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტს;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტს.

### **ნარსადგენი დოკუმენტაცია:**

- მაძიებლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია, განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პირის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი;
- მაძიებლის კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი, თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია;
- მაძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა).

## „დღის ცენტრების მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“

**პროგრამა გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სრულწლოვანი პირებისათვის, მათ შორის ხანდაზმულებისათვის.**

### **ნარსადგენი დოკუმენტაცია:**

- მაძიებლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
- განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი (პირის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) და მისი ასლი, თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია
- მაძიებლის კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, თუ განმცხადებელი მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელია
- ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) – იმ შემთხვევაში, თუ მაძიებელი განცხადების წარდგენის დღემდე 12 თვის განმავლობაში არ იყო ამ მომსახურების ბენეფიციარი, მიუხედავად მომსახურების მიღების ხანგრძლივობისა.

## **„დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“ -**

**ყავარჯნებით, ხელჯობ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯობებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტი.**

### **ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფია:**

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- ხანდაზმულები.

### **პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:**

- ეტლებით უზრუნველყოფისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობას
- აბაზანის/საპირფარეშოს დამხმარე სკამებით უზრუნველყოფას
- საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფას
- სმენის აპარატებით უზრუნველყოფას
- ყრუ და სმენისარმქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ვიდეო კონფერენციის ფუნქციის მქონე ტექნიკური საშუალებით (სმარტფონი) უზრუნველყოფას
- ყავარჯნებით, ხელჯობ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯობებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფას
- უსინათლოთა ხელჯობებით უზრუნველყოფას.

## **ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა;**

### **ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა.**

პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამების დაფინანსება ხორციელდება ვაუჩერის მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს არამატერიალიზებული ან მატერიალიზებული. ამასთან, მატერიალიზებული ვაუჩერი არ წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს.

**შენიშვნა:** ამ დროისათვის სახელმწიფოს მხრიდან მიმდინარეობს „შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ამოქმედებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ აღნიშნული მომსახურების საჭიროების მქონე ხანდაზმული პირები.



## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, 0186

ტელ.: (+995 32) 237 61 44

ცხელი ხაზი: 143

ელ-ფოსტა: [info@abkhazia.gov.ge](mailto:info@abkhazia.gov.ge)

ვებ-გვერდი: <http://www.abkhazia.gov.ge/home>



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქმიანობის მთავარი მიმართულებაა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისთვის სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების მიღმა არსებული სამკურნალო - სადიაგნოსტიკო სერვისების ცალკეულ სახეებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სხვადასხვა პროფილის მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციით. მოქმედი პროგრამები ხელმისაწვდომია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - ასაკობრივი შეზღუდვების გარეშე, გარდა განათლების ხელშეწყობის პროგრამაში შემავალი ქვეპროგრამებისა.

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ 60-65 წლის ზევით ასაკის მქონე ბენეფიციარებს (პენსიონერი), რომლებიც მიეკუთვნებიან პროგრამით გათვალისწინებულ პრიორიტეტულ ჯგუფს.

### სამინისტროში მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები:

1. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან დევნილთა ამბულატორიული მომსახურების პროგრამა;
2. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან დევნილთა სტაციონარული მომსახურების პროგრამა;
3. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების (მათ შორის კოვიდ-სტაციონარების) მედიკამენტებით მხარდაჭერის პროგრამა;
4. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო მომსახურების ანაზღაურების პროგრამა;
5. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები, მოქალაქეობის არმქონე პირთა სარეაბილიტაციო მომსახურება;
6. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადება.

## **სამინისტროში მოქმედი სოციალური პროგრამები:**

1. დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებისას ზემო აფხაზეთიდან იგპ-თა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა;
2. დევნილთა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა;
3. დევნილთა ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროგრამა;
4. დევნილთა დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამა;
5. აფხაზეთიდან დევნილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მხარდაჭერის პროგრამა;
6. აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანობა/აბონირების პროგრამა;
7. სოციალური სოლიდარობის პროგრამა;
8. დევნილთა განსახლების ობიექტებში საერთო სარგებლობის ფართების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის ხელშეწყობის პროგრამა;
9. იგპ-თა იურიდიული მხარდაჭერის პროგრამა;
10. „დევნილთა მომსახურების ცენტრების“ პროგრამა.

## **სამინისტროში მოქმედი ეკონომიკური პროგრამები:**

1. ეკონომიკური სერვისების მიწოდების პროგრამა;
2. ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერის პროგრამა;
3. „სინერგია – პროექტების თანადაფინანსება აფხაზეთიდან დევნილი და გამყოფ ხაზს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისთვის პროგრამა.“

**ამასთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა იძულებით გადაადგილებულ პირებს სთავაზობს იურიდიული მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს:**

- დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე, ზეპირი ან/და წერილობითი კონსულტაციებს;
- მხარდაჭერა სარჩელების/განცხადებების/საჩივრების მომზადებისათვის უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენად;
- საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, დევნილი ბენეფიციარებისათვის სამართლებრივად სწორი და საჭირო ინფორმაციის მიწოდებას;
- დევნილთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას და ეროვნული სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით სტრატეგიული სამართალწარმოების უზრუნველყოფას;
- აფხაზეთიდან დევნილი მენარმეებისათვის, მათი საქმიანობიდან გამომდინარე სამართლებრივი კონსულტაციის განწევა.

## იუსტიციის სამინისტრო

### იუსტიციის სამინისტრო

მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა 24ა

ტელ.: (+995 32) 2 405 087

ელ-ფოსტა: [info@justice.gov.ge](mailto:info@justice.gov.ge)

ვებ-გვერდი: <http://justice.gov.ge/>



საქართველოს  
იუსტიციის  
სამინისტრო

### ბოლნისის იუსტიციის სახლი

მის: სულხან-საბა ორბელიანის ქ N111ა

ტელ.: 2 405 405

ელ-ფოსტა: [info@ssa.gov.ge](mailto:info@ssa.gov.ge)

ვებ-გვერდი: <https://psh.gov.ge/main/menus/1>

**1. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“** - ავითარებს ადგილმდებარეობაზე დაფუძნებულ სერვისებს. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში (ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქების გარდა) მიმდინარეობს მიწის სისტემური რეგისტრაცია, რომლის ფარგლებშიც 2024 წლის ბოლომდე, დაინტერესებული პირის ჩართულობით აიზომება და საკუთრებად დარეგისტრირდება ყველა კერძო, სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის კუთვნილი მიწის ნაკვეთი.

მიწის სისტემური რეგისტრაციისა და დამისამართების პროექტის ფარგლებში ყველა სახის მომსახურება მოსახლეობას (მათ შორის, ხანდაზმულ მოქალაქეებს) საცხოვრებელ ადგილზე მიეწოდება, მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვით/აზომვით სამუშაოებს სააგენტო საფასურის გადახდის გარეშე უზრუნველყოფს.

**2. სსიპ „საქართველოს ეროვნულ არქივში“** - ასაკით პენსიონერებს შესაძლებლობა აქვთ, 50%-იანი შეღავათით, ხოლო სოციალურად დაუცველებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს 100%-იანი შეღავათით ისარგებლონ საქართველოს ეროვნული არქივის შემდეგ სერვისებზე:

1. ყველა ტიპის სოციალურ-უფლებრივი ხასიათის საარქივო ცნობებზე, თუ ის უშუალოდ განმცხადებელს ეხება;
2. სამკითხველო დარბაზის მომსახურება.

**3. სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“** - „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით, თუ მსჯავრდებული არის ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალი 65 წლის, მამაკაცი 70 წლის), სააგენტოს უფროსთან წერილობითი შეთანხმებით მსჯავრდებულს შეიძლება შეუმსუბუქდეს კანონით დადგენილი რეჟიმი 3 თვეში ერთხელ პრობაციის ბიუროში გამოცხადების ვალდებულებით.

**4. სპეციალური პენიტენციური სამსახური** - დღეის მდგომარეობით, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში დანერგილია შემთხვევის მართვა. ბენეფიციარებს ასაკისა და საჭიროებების გათვალისწინებით მიზნობრივად მიენიჭებათ სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო მომსახურება, კერძოდ:

- პროფესიული განათლება;
- ფსიქოსოციალური თერაპია;
- ფსიქოსოციალური ტრენინგები;
- კულტურული ღონისძიებები;
- სპორტული ღონისძიებები;
- დასაქმება.

აღნიშნულ სარეაბილიტაციო მომსახურებებს იღებენ როგორც არასრულწლოვანი, ისე სრულწლოვანი ბენეფიციარები, მათ შორის, ხანდაზმული მსჯავრდებულები.

# არასამთავრობო ორგანიზაციები



## იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"

საკონტაქტო პირი: მადონა ყაფლანიშვილი

ტელ.: 551 19 26 07

მის.: კაზრეთი, კორპუსი 99/1, I სართული

სამუშაო საათები: 11 საათიდან 17 საათამდე

იგზ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ თავის პარტნიორ ორგანიზაცია Hilfswerk International-თან ერთად კაზრეთში ახორციელებს ავსტრიის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ პროექტს „შედეგობის გაზრდა Covid-19-ით გამოწვეული კრიზისისადმი საქართველოსა და სომხეთში“.

პროექტი მიზნად ისახავს პანდემიით გამოწვეულ უარყოფით შედეგებთან ბრძოლას და იმ სოციალურად დაუცველი თუ სოციალურად იზოლირებული ხანდაზმულების მხარდაჭერას, რომელთაც ყოველდღიურ ცხოვრებასთან გამკლავებასა და სოციალური ურთიერთობების მოძიებაში ესაჭიროებათ დახმარება.

აღნიშნული პროექტის მხარდაჭერით, ფუნქციონირებას განაგრძობს კაზრეთის დღის ცენტრი, რომელიც პროექტ „ღირსეული სიბერის“ ფარგლებში უკვე მრავალი წელია მიზნად ისახავს დაბა კაზრეთში მცხოვრები ხანდაზმულების ღირსების აღდგენასა და მათ სოციალურ ჩართულობას.

ამ ეტაპისათვის, დღის ცენტრი ემსახურება 107 ხანდაზმულს.

### ცენტრის ბენეფიციარებისათვის ხელმისაწვდომია:

- მასშედიის სხვადასხვა საშუალებები;
- საქართველოს ისტორიულ ადგილებში ექსკურსიები;
- თეატრებში, კინოში, მუზეუმებში, გამოფენებზე დასწრება;
- მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობა ექთნის მიერ;
- საჭიროების შემთხვევაში ექიმთან კონსულტაცია;
- ფსიქოლოგის კონსულტაცია;
- სხვადასხვა სამაგიდო თამაშების ტურნირებში მონაწილეობა;
- ცენტრის სტუმრების მიერ შესრულებული მასალის გამოფენა-გაყიდვა;
- ახალგაზრდებთან რეგულარული ურთიერთობა.

**პროგრამით მოსარგებლეები:** პენსიონერები

**ჩართვის კრიტერიუმები:** დღის ცენტრის სერვისით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ პენსიონერს, რისთვისაც უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და შეავსონ სარეგისტრაციო ფორმა.



## საქართველოს წითელი ჯვარი

საკონტაქტო პირი: დინარა პირველი

ტელ.: 596 07 07 77

მის.: სულხან-საბა ორბელიანის 123

სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი, 10:00-18:00 საათი

### დღის ცენტრი

საქართველოს წითელი ჯვარი და ბოლნისის მუნიციპალიტეტი გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე ხანდაზმულებს სთავაზობენ დღის ცენტრის მომსახურებას და შინმოვლის სერვისს.

სოციალური მხარდაჭერის ფარგლებში შექმნილია, "ინტეგრირებულ საქმიანობათა დღის ცენტრი", რომლის ბაზაზე ფუნქციონირებს სხვადასხვა საქმიანობათა ჯგუფები და ხორციელდება ბენეფიციართა უნარ-ჩვევების განვითარება (თემატური ტრენინგები, სემინარები, სასწავლო სესიები და ა.შ.) და ადვოკატირება (სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით, კონსულტაცია და ინფორმირება). ბენეფიციარებს შესაძლებლობა ეძლევათ ღირსეულ გარემოში დაგეგმონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ზემოაღნიშნული ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობაში, სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებაში, რაც ხელს უწყობს მათი ყოფის შემსუბუქებას, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და თაობათა შორისი ურთიერთობების გაუმჯობესებას.

### ძირითად (პირდაპირ) სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- 60-65 წელს ზემოთ, ოჯახურ მხარდაჭერას მოკლებული ხანდაზმულები, რომლებიც იღებენ სახელმწიფო პენსიასა და შემწეობას;
- ეთნიკური უმცირესობები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

### საქართველოს წითელი ჯვარი ბენეფიციარებს ადგილზე სთავაზობს:

- უფასო სადილს
- სხვადასხვა სახის ჰუმანიტარულ დახმარებას (საკვები პროდუქტები, ჰიგიენა)
- ექიმის კონსულტაციას
- ფსიქოლოგის კონსულტაციას
- ადვოკატის კონსულტაციას
- ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნას (შობა-ახალი წელი, დედის დღე, აღდგომა, საიუბილეო თარიღები და სხვა)
- სოციალური ღონისძიებების მოწყობას (პოეზიის საღამოები, ექსკურსია, გაცვლითი ვიზიტი, ჩემპიონატი ქადრაკსა თუ შაშში და ა.შ.

დღეისათვის დღის ცენტრი ემსახურება 50 ხანდაზმულს.

## შინმოვლის პროგრამა

საქართველოს წითელი ჯვარი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე მოხალისეების დახმარებით ახორციელებს შინმოვლის პროგრამას, რომელიც ემსახურება 50-მდე უმწეო ხანდაზმულს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს. დამატებითი ჩართვის კრიტერიუმები შინმოვლის პროგრამაში განსაზღვრული არ არის.

### ძირითადი მომსახურებები:

- ბინაზე ვიზიტები;
- კონსულტაციები;
  - ექთნის კონსულტაცია;
  - ფსიქოლოგის კონსულტაცია;
  - იურისტის მომსახურება;
- საოჯახო საქმეებში დახმარება;
- რეცხვა;
- საკვები პროდუქტების და მედიკამენტების მიწოდება და ა.შ.



შინმოვლის სერვისის განსახორციელებლად აქტიურად ჩართულები არიან მოხალისეები, რომლებიც მინიმუმ თვეში ერთხელ ახორციელებენ ვიზიტებს.

## მაღალმთიანი რეგიონის სტატუსი

სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანი რეგიონის სტატუსის მინიჭება წარმოადგენს რეგიონის განვითარებისკენ მიმართულ ქმედებას, რომელიც ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით, რათა ხელი შეუწყოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას.

კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას<sup>5</sup>.

6 მაღალმთიანი რეგიონების განვითარება - <https://www.moh.gov.ge/ka/530/>

ფიზიკურ პირს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი ენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ა) არის საქართველოს მოქალაქე;
- ბ) რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში;
- გ) ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში, ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით, ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში.

## **სტატუსის მინიჭების პროცედურები:**

- სტატუსის მინიჭების მიზნით ფიზიკურმა პირმა, რომელიც მაღალმთიან დასახლებაშია რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები - განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს.
- ფაქტობრივად ცხოვრება ნიშნავს ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად ყოფნას, რაც დასტურდება შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოებისას მოპოვებული მტკიცებულებების და დადგენილი ფაქტების ერთობლიობით;
- მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის შესახებ ინფორმაცია აისახება მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

## **სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში<sup>12</sup>**

ა) საპენსიო ასაკს მიღწეულ, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისათვის, რომელიც ყოველთვიურად იღებს სახელმწიფო პენსიას, სოციალური დახმარების სახით, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ოდენობის გათვალისწინებით, ყოველთვიური დანამატის – სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20 პროცენტის.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სოციალური პაკეტის მიმღებ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირებს, მიეცემათ ყოველთვიური დანამატი მათთვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტის 20 პროცენტის ოდენობით;

ბ) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ დამისმართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის, რომლის შრომა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით, ყოველთვიური დანამატის მიცემას.

12 [https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01\\_GEO/Mtiskanoni/1/3.pdf](https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Mtiskanoni/1/3.pdf)



გ) ზამთრის პერიოდში (შესაბამისი წლის 15 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 15 აპრილის ჩათვლით) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას;

დ) აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერჯის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურებას, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერჯის საფასურისა;

ე) ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებული პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული შეღავათები, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების კანონით დამტკიცებულ ტერიტორიებზე მუდმივად მცხოვრები პირებისთვის გათვალისწინებულ შეღავათებს.

**შენიშვნა:** პენსიის/სოციალური პაკეტის შეჩერება, შეწყვეტა ავტომატურად იწვევს დანამატის შეჩერებას, შეწყვეტას. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში დანამატის შეწყვეტა ხორციელდება კანონის მოთხოვნათა დაცვით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებულ მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში ასახვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან<sup>5</sup>.

**შენიშვნა:** „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები ფიზიკური პირი თავისუფლდება საშემოსავლო და ქონების გადასახადისგან;

**ცხრილი1 -ბოლნისის მაღალმთიანი დასახლებების ჩამონათვალი<sup>14</sup>**

ბოლნისი	ბერთაკარი	სოფელი
ბოლნისი	დარბაზი	სოფელი
ბოლნისი	წიფორი	სოფელი
ბოლნისი	ჭრეში	სოფელი
ბოლნისი	ხახალჯვარი	სოფელი

13 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული შეღავათები - [https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01\\_GEO/Mtiskanoni/1/1.pdf](https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/Mtiskanoni/1/1.pdf)  
 14 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მაღალმთიანი რეგიონის განვითარება. <https://www.moh.gov.ge/ka/530/>

# ინფორმაცია ადგილობრივი საავადმყოფოების შესახებ

## **შპს ბოლნისის ცენტრალური კლინიკა**

*გადაუღებელი ამბუდაგოიური მომსახურება, გეგმუხი ქიხუხგიური მომსახურება  
(გაჩდა კახდიოქიხუხგიისა)*

**ტელ:** 0358 22 50 99

**მის:** ბოლნისი, დ. აღმაშენებლის ქ. N25

**სამუშაო დღეები:** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 09:30 დან 19:00 საათამდე

**დასვენება:** შაბათ-კვირა

## **შპს სავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება**

*გადაუღებელი ამბუდაგოიური მომსახურება, გეგმუხი ქიხუხგიური მომსახურება  
(გაჩდა კახდიოქიხუხგიისა)*

**ტელ:** 0358 22 50 99

**მის:** ბოლნისი, დაბა კაზრეთი

**სამუშაო დღეები:** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით

**დასვენება:** შაბათ-კვირა

## **შპს “ახალი სამედიცინო ცენტრი”**

*გადაუღებელი ამბუდაგოიური მომსახურება, გეგმუხი ქიხუხგიური მომსახურება ( გაჩდა კახდიოქიხუხგიისა )*

**მის:** ბოლნისი, დ. აღმაშენებლის ქ. N25

**სამუშაო დღეები:** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით

**დასვენება:** შაბათ-კვირა

## **შპს „რეფერალური დახმარების ცენტრი**

*გადაუღებელი ამბუდაგოიური მომსახურება*

**მის:** ბოლნისი, დაბა კაზრეთი

**სამუშაო დღეები:** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით

**დასვენება:** შაბათ-კვირა

### **შპს „ტრიო-მედი“**

**გადაუღებელი ამბუღაგოჩიუდი მომსახურება**

**მის:** ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 112

**სამუშაო დღეები:** ორშაბათიდან პარასკევს ჩათვლით

**დასვენება:** შაბათ-კვირა

### **შპს “ქვეშის საექიმო ამბულატორია”**

**მის:** ბოლნისი, ქვეში

**სამუშაო დღეები:** ორშაბათიდან პარასკევს ჩათვლით

**დასვენება:** შაბათ-კვირა

## **კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამები**

### **მუზეუმები**

#### **ბოლნისის მუზეუმი**

**მის:** ბოლნისი, დ. აღმაშენებლის ქ. 48ა

**სამუშაო საათები:** 10:00 - 17:30

**სამუშაო დღეები:** ყოველდღე,  
ორშაბათის გარდა

**ბილეთის საფასური:** 8 ლარი

**პენსიონერებისთვის:** 2 ლარი

ბოლნისის ახალი მუზეუმი 2020 წელს გაიხსნა. მუზეუმში მონაწილეობდა მუდმივმოქმედი ექსპოზიციის და

საგამოფენო სივრცე, სადაც წარმოდგენილია სამეცნიერო მნიშვნელობის არქეოლოგიური მასალა და ხელოვნების ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან და ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან. ასევე, მუზეუმში შეხვდებით 200 წლის წინ სამხრეთ გერმანიიდან საქართველოში ჩამოსახლებული გერმანელების მოღვაწეობასა და მათი ცხოვრების ამსახველ ექსპოზიციას.





აგრეთვე, მუზეუმი დამთვალეირებელს სთავაზობს გოეთეს ინსტიტუტის მედიათეკას, რაც მსოფლიოს 90 ქვეყანაში, სადაც გოეთეს ინსტიტუტი ფუნქციონირებს, პირველია.

ამასთან ბოლნისის მუზეუმის ბაზაზე განაგრძო ფუნქციონირება ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, რომელშიც დაცულია ბოლნისში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა და მოიცავს კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპს - ენეოლითური ხანიდან გვიანი, შუა საუკუნეების ჩათვლით. მათ შორისაა: ნეოლითის პერიოდის მასალები: მიწის დასამუშავებელი იარაღები, ქვის სკულპტურები, აგრეთვე წარმოდგენილია არქიტექტურული და ეთნოგრაფიული მასალა.

მუზეუმში დაცულია ბოლნისის მკვიდრის, ჰაგიოგრაფი მწერლის იაკობ ცურტაველის „შუშნაკის წამების“ საიუბილეო (1500 წ.) გამოცემა 5 ენაზე ნათარგმნი და დაბეჭდილი.

## სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მუზეუმი

**მის:** ბოლნისი, სოფელი ტანძია

**სამუშაო საათები:** 10:00 - 18:00

**სამუშაო დღეები:** ყოველდღე, ორშაბათის გარდა

მუზეუმის ფუნქციონირებს 1984 წლიდან. მუზეუმში დაცულია სულხან-საბა ორბელიანისა და მის ნაწარმოებების თემებზე შექმნილი ქართველი მხატვრების ფერწერული, გრაფიკული ნამუშევრები, ფოტომასალები, დოკუმენტები, სულხან-საბას ნაწარმოებების სხვადასხვა პერიოდის გამოცემები.



## კულტურული დანახებულებები

### ბოლნისის კულტურის ცენტრი



**მის:** ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. 108

**ტელ:** 555 37 93 06

**ელ-ფოსტა:** [Kulturis.centri@yahoo.com](mailto:Kulturis.centri@yahoo.com)

**სამუშაო დღეები:** ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 - 18:00, შაბათ-კვირა დასვენება

ბოლნისის კულტურის სახლი მშენებლობა დაიწყო 1941 წელს, გერმანელი კოლონისტის ჰაინრიხ კრომერის პროექტით. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მშენებლობა შეჩერდა და მისი გახსნა მოხდა 1959 წელს. ის დღემდე ინარჩუნებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ერთადერთი მთავარი სალონისძიებო სივრცისა და სახელოვნებო ცენტრის სტატუსს, მისი სრული სახელწოდება დღეისათვის სულხან - საბა ორბელიანის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის ცენტრალური კულტურის სახლის სახელწოდებითაა ცნობილი.

კულტურის სახლში, გარდა ბევრი სახელოვნებო წრეებისა და სტუდიებისა, სადაც ბევრი მოზარდი ეზიარება ხელოვნების სხვადასხვა დისციპლინებს და ქმნიან საინტერესო შემოქმედებით პროდუქტს, აგრეთვე ფუნქციონირებს პროფესიული ქართული ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობების დასები, რომლებიც ხშირად მართავენ საინტერესო წარმოდგენებს, აქ ხშირად იდგმება შექსპირისა და სხვა ცნობილი დრამატურგების პიესებზე შექმნილი სპექტაკლები, იმართება კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის საღამოები, საოპერო და საბალეტო ხელოვნების სპექტაკლები.<sup>15</sup>

### ბოლნისის მუნიციპალური თეატრი

**მის:** ქ. ბოლნისის სულხან-საბას №108

**ტელ:** 577 47 98 89; 551191933

**ელ-ფოსტა:** [bolnisiheater@gmail.com](mailto:bolnisiheater@gmail.com)

**ვებგვერდი:** <https://www.facebook.com/BolnisiMunicipalTheatre>

ბილეთის ფასი განისაზღვრება სპექტაკლების, პიესების მიხედვით.

15 <https://bolnisi.gov.ge/bolnisis-shesaxeb/ghirsheshanishnaobebi1/1299-bolnisis-kulturis-saxli.html>



ბოლნისის მუნიციპალური თეატრი 1942 წლიდან ფუნქციონირებს ბოლნისში, მას საფუძველი ჩაუყარეს სცენის მოყვარულთა დასმა.

## ბოლნისის კინოთეატრი

**მის.:** სულხან-საბას 102ბ

**ტელ.:** 551 84 84 09, 598 00 88 90

**Facebook გვერდი -**

ბოლნისის კინოთეატრის

მხარდამჭერი საზოგადოება

ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებობს „ბოლნისის კინოთეატრი“, რომელიც წლების განმავლობაში არ ფუნქციონირებდა. 2021 წლიდან, მოხალისეების ძალის-

ხმევით პერიოდულად იმართება კინოჩვენებები. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფთან ერთად ცდილობს დაუბრუნოს პირვანდელი სახე.



## ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკი

**მის.:** ქ. ბოლნისის სულხან-საბას №142

ქალაქ ბოლნისში არის უძველესი და ულამაზესი, 4 ჰექტარზე გაშენებული კულტურისა და დასვენების პარკი, რომელსაც თითქმის უკვე 1 საუკუნოვანი ისტორია აქვს და გაშენებულია გერმანელი კოლონისტების მიერ. პარკი ყველა ასაკის წარმომადგენელზეა გათვლილი. ბუნებაში

მოწყობილია დასასვენებელი სივრცე, კაფე - მუზეუმით, ღია ცის ქვეშ მინი სცენით, სადაც იმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. ასევე, პარკის ტერიტორიაზე არის სპორტული მოედნები, სასტუმრო და ისტორიული კინოთეატრის შენობა.



## ბოლნისის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა

მის.: სულხან-საბა ორბელიანის ქ. 106

ტელ.: 577-60-64-76

ელ-ფოსტა: [bolnisismtavaribiblioteka@mail.ru](mailto:bolnisismtavaribiblioteka@mail.ru)

სამუშაო დღეები: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 - 18:00,  
შაბათ-კვირა დასვენება

## ბოლნისის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობები

ქვემოთ წარმოდგენილია ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობების არასრული ჩამონათვალი.

### ბოლნისის სიონი

V საუკუნით დათარიღებული ბაზილიკა, რომელიც წარმოადგენს ქართული ბაზილიკის კავშირს ქრისტიანულ სამყაროს სხვა ქვეყნების ბაზილიკასთან. ეკლესიის გვერდით, სამხრეთ-დასავლეთით, დგას XVII საუკუნის სამრეკლო. ბოლნისის სიონი საფუძვლიანადაა რესტავრირებული და შეკეთებული. XVII საუკუნეში აღადგინეს გადახურვის კამარები საბჯენი თაღებით, გაჭრეს დასავლეთ შესასვლელი.



ბოლნისის სიონში გაჩაღებული იყო მნიგნობრული საქმიანობა. ცნობილია ბოლნელ ეპისკოპოსთა ინიციატივით დამზადებული ხელნაწერები. X-XI საუკუნეებში იქ მოღვაწეობდა იოანე ბოლნელი.

## წულრულაშენი

XIII საუკუნის ქართული მართლმადიდებლური გუმბათოვანი ტაძარი. იგი მდებარეობს ბოლნისის სიონიდან 2 კილომეტრში. ეკლესიის წარწერებში მოხსენებული არიან გიორგი მეფე (ლაშა-გიორგი) და ეკლესიის მშენებელი ჰასან არსენის ძე. ძეგლი აშენებულია მისი მეფობის დროს 1212-1222 წლებში.

ეკლესიაში სამხრეთ კედელში, კარის გვერდით არის ნიში, ე.წ. სამალავი (დაახლოებით იმ სივინროვე, ხელი რომ შეეტიოს) სადაც არის ქვა ჩადგმული რომლებზედაც გამოსახულია ბოლნური ჯვარი მოჩუქურთმებულ წრეში და ქართული წარწერა.



## ქვეშის ციხე



შუა საუკუნეების ციხესიმაგრე აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლში, მდ. მაშავერის მარცხენა სანაპიროზე (ახლანდელი ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვეშის მახლობლად). აშენებულია ველზე ამოზიდულ, თითქმის ყოველი მხრიდან მიუვალ მაღალ კლდეზე. თავისი მდებარეობით იგი სამშვილდიდან ტაშირისა და ზურტაკეთ-ჯავახეთის მიმართულების გზებს აკონტროლებდა.

## ძველი გერმანული უბნები



1817-18 წლებში, რუსეთის იმპერიის ხელშეწყობით ჩამოასახლეს გერმანელი კოლონისტები, იგივე „შვაბები“, რომლებმაც დააარსეს დასახლება სახელწოდებით კატერინენფელდი, სადაც პირველად 135 ოჯახი (450 – 500 ადამიანი) დასახლდა და 1941 წლამდე ცხოვრობდნენ.



ბოლნისში გერმანელთა ცხოვრების კვალი დღემდეა შემორჩენილი და ქართული სახელმწიფოსთვის უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. დამთვალიერებელს შესაძლებლობა აქვს, ბოლნისის გერმანულ კვარტალში გოთური და ქართული არქიტექტურის ნაზავის მქონე უნიკალური სახლების დათვალიერების, რომელიც ღია ცის ქვეშ მუზეუმად არის წარმოდგენილი.



## ფოლადაურის ხეობა



ხეობა ეკოტურისტებისთვის ძალზედ საინტერესოა, თვისი საფეხმავლო და სამანქანო ბილიკებით, რომელიც წარმოდგენილია ტყეებით, მთებით, მდელოებით, მინდვრებით, მდინარეებით, ხევებით, ქარაფებით, და იშლება ულამაზესი ლანდშაფტი. ამასთან, არაერთი საინტერესო სანახაობაა, რომელიც გარდა ბერდიკის ციხისა, ღრმა ხეობაში,

მდინარე ფოლადაურზე მდებარეობს XIII საუკუნის ერთმალთან თამარის ხიდი, რომელიც უკავშირდება შულავერის ხეობას. ასევე, დამთვალიერებელი შეხვდება უამრავ ნატაძრალს თუ ნასაყდრალს, როგორცაა: „მუხნარი“ – XIII ს; „იმერხევი“ – XVI ს; „კაკლიანი“ – XIII ს; „კვირიკეთი“ – XVI ს; „ვაშლოვანი“ – XVII ს. „ფიჭვნარი“ – XVII ს; „მცირე საყდარი“ – XVI ს; „უბისა“ – XVI ს; „თელიანი“ – XVI ს; და „ორხევი“ - XVII ს;



# ინფორმაცია ადგილობრივი ტრანსპორტის შესახებ

ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოქმედი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განრიგი<sup>16</sup>:

მიმართულება	რეისების რაოდენობა დღეში	სამუშაო საათები
რატევანი - რაჭისუბანი (ქალაქ ბოლნისის მიმართულება)	სრულდება 12 რეისი	8:00 საათიდან 20:00 საათამდე
ბოლნისი - კაზრეთი - ბალიჭი	სრულდება 2 რეისი	8:00 საათი; 13:00 საათი
ბალიჭი -კაზრეთი-ბოლნისი	სრულდება 2 რეისი	9:30 საათი; 15:00 საათი
რატევანი - ფარიზი	სრულდება 2 რეისი	8:00 საათი; 14:00 საათი
ბოლნისი - ტალავერი - მამხუტი	სრულდება 2 რეისი	8:00 საათი; 13:00 საათი
ბოლნისი - დარბაზი	სრულდება 2 რეისი	8:00 საათი; 14:00 საათი
ბოლნისი - ფოლადაური	სრულდება 2 რეისი	8:00 საათი; 14:00 საათი
ბოლნისი - ტანძია	სრულდება 3 რეისი	9:00 საათი; 13:00 საათი; 18:00 საათი
ბოლნისი - დისველი	სრულდება 3 რეისი	8:00 საათი; 14:00 საათი; 17:00 საათი
ბოლნისი - ხატისოფელი	სრულდება 2 რეისი	8:00 საათი; 17:00 საათი

**შენიშვნა:** ტრანსპორტის ფასს ყოველ წლიურად განსაზღვრავს ბოლნისის მუნიციპალიტეტი

თბილისიდან ბოლნისის მიმართულებით სამარშუტო ტაქსები გადიან ნავთლუღის ავტოსადგურიდან. დილის 8 საათიდან 18 საათამდე მონაკვეთში, ყოველ დღე. მის: თბილისი. მოსკოვის გამზ. 2

<sup>16</sup> ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოქმედი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განრიგი <https://bolnisi.gov.ge/servisebi/transporti>

# COVID-19-თან დაკავშირებული საკითხები: სიმპტომები, კრევენცია, ცხელი ხაზი

**COVID-19** ახალი ვირუსია და ის უკავშირდება ვირუსების იმავე ჯგუფს, რომელსაც განეკუთვნება „მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი“ (SARS) და გაციების ზოგიერთი ფორმა.

კორონა ვირუსი ვრცელდება წვეთოვანი და კონტაქტური გზით მაგალითად, ხველის ან ცემინების დროს, ხელის ჩამორთმევით, სახესა და თვალთან დაუბანელი ხელის შეხებით, დაავადებულ ადამიანთან მჭიდრო კონტაქტით.

**COVID-19-ის დამახასიათებელი სიმპტომებია:** სხეულის ტემპერატურის მომატება, ხველა, ყელის ტკივილი, ყნოსვის ან გემოს შეგრძნების დაკარგვა, თავისა და კუნთების ტკივილი, ზოგადი სისუსტე, ჰაერის უკმარისობის შეგრძნება ან მოსვენების დროს ქოშინი (რაც ადრე არ გქონიათ).



## საყურადღებოა თუ დაგნეყოთ:

- სუნთქვის უკმარისობა;
- ტკივილი და/ან ზენოლა გულ-მკერდის არეში;
- ცნობიერების დარღვევა;
- ძილიანობა;
- უჩვეულო სიფერმკრთალე/ციანოზური ტუჩები და სახე.

სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში, პირველ რიგში დაუკავშირდით თქვენს ოჯახის ექიმს, რადგან ხველება და ტემპერატურის მატება დამახასიათებელია სხვა ვირუსული ინფექციებისთვისაც. თუ ახველებთ, გაქვთ სურდო ან ტემპერატურა, არ ნიშნავს, რომ აუცილებლად კოვიდ ინფიცირებული ხართ. მიუხედავად ამისა, შესაძლებლობის ფარგლებში, შეეცადეთ მოერიდოთ ხალხს და დაუკავშირდეთ ოჯახის ექიმს. როგორც წესი, სხვა ვირუსული ინფექციით გამონვეული სიმპტომები სტანდარტული მიმდინარეობისას 3-5 დღის განმავლობაში.

## კორონა ვირუსისგან თავის დაცვის საშუალებები

- მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს;
- ატარეთ პირბადე დახურულ სივრცეებში, ხალხმრავალ ადგილებში და იმ ადამიანებთან ახლო კონტაქტის დროს, რომლებსაც აქვთ კორონა ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომები;
- ხშირად დაიბანეთ ხელი საპნითა და წყლით (40-60 წამის განმავლობაში) ან ალკოჰოლის შემცველი 70%-იანი ხსნარით (20-40 წამი);
- შესაძლებლობის ფარგლებში შეეცადეთ არ გადაადგილდეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით.



## როგორ მოვიქცეთ ბინაზე მკურნალობის დროს?

- დაიცავით თვითიზოლაციის წესები;
- არ გახვიდეთ გარეთ;
- არ მიიღოთ სტუმრები;
- ოჯახის წევრებთან ფიზიკური კონტაქტი იქონიეთ მხოლოდ აუცილებელი საჭიროების დროს, რაც შესაძლებელია მცირე დროით და ფიზიკური დისტანციის დაცვით, პირბადის აუცილებელი გამოყენებით კონტაქტში მყოფი ყველა პირის მიერ;
- იქონიეთ პირადი ქურჭელი, თეთრეული და ჰიგიენის ნივთები;
- ხშირად გაანიავეთ ოთახი გარე სივრცეში გამავალი ფანჯრებით/კარით;
- არ მიიღოთ მედიკამენტები ექიმთან შეთანხმების გარეშე. COVID-19-ის მკურნალობა არის სიმპტომური და სიმპტომების მართვისათვის, თქვენთვის საჭირო უსაფრთხო მედიკამენტების შესახებ ინფორმაციას მოგაწვდით ექიმი.<sup>17</sup>

# ქვეყანაში მოქმედი ცხელი ხაზები

## 1. საქართველოს მთავრობის ცხელი ხაზი - 144

სამუშაო საათები: 09:00 - 21:00

ცხელი ხაზის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ კორონა ვირუსთან და დაწესებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით სრული ინფორმაციის მიღება.

## 2. საქართველოს მთავრობის საინფორმაციო პორტალი/ვებ-გვერდი - [ambulatoria.moh.gov.ge](http://ambulatoria.moh.gov.ge)

მოქალაქეებს, საინფორმაციო პორტალის საშუალებით შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია, ოჯახის ექიმის ვინაობისა და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების შესახებ. პორტალზე პირადი ნომრის მითითებით, მოქალაქეს შეუძლია გაარკვიოს, თუ რომელ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაშია რეგისტრირებული და ასევე გადაამოწმოს ინფორმაცია ოჯახის ექიმის ვინაობის შესახებ, რომელიც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მეთვალყურეობას განახორციელებს.

## 3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - ცხელი ხაზი 15 05

სამუშაო საათები: ყოველ დღე (24/7 განმავლობაში)

ვებ-გვერდი: <https://www.moh.gov.ge/>

ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მიმდინარე საკითხების, პროგრამების და სერვისების შესახებ. სამინისტროში არსებულ, როგორც ჯანდაცვის, ისე სოციალურ თუ დევნილთა საკითხებზე. ასევე, აღნიშნულ ცხელ ხაზს დაემატა მომსახურება კორონა ვირუსის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე.

## 4. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი - ცხელი ხაზი 116001

სამუშაო საათები: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 - 21:00

ვებ-გვერდი: [ncdc.ge](http://ncdc.ge)

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზის საშუალებით შესაძლებელია ინფორმაციის მიღება გადამდები და არაგადამდები დაავადებების, იმუნიზაციის, სახელმწიფო პროგრამების შესახებ. ასევე ამავე ცხელ ხაზზე შესაძლებელია ინფორმაციის მიღება კორონა ვირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

## 5. სსიპ - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

ძალადობის შემთხვევაში დაუკავშირდით: 112 ან დარეკეთ 116006

სამუშაო საათები: ყოველ დღე (24/7 განმავლობაში)

ყოველწლიურად მიმდინარეობს მილიონობით ადამიანის ვაქცინაცია სხვადასხვა ვირუსებზე. COVID-19-ის წინააღმდეგ ვაქცინაციაც მნიშვნელოვანია და სწორი გადაწყვეტილებაა საკუთარი თავის, ოჯახის წევრებისა და საზოგადოების დასაცავად.

ვაქცინაცია ხელს უშლის და ამცირებს დაინფიცირების, ავადობის და სიკვდილიანობის რისკებს.

ვაქცინაციის გაკეთება რეკომენდირებულია იმ ადამიანებისთვისაც, ვინც უკვე გადაიტანა COVID-19. არსებული კვლევების თანახმად, ინფექციის გადატანის შემდგომ არ ყალიბდება ხანგრძლივი იმუნიტეტი და ადამიანი კვლავ რჩება განმეორებითი ინფიცირების რისკის წინაშე<sup>18</sup>.



## კოვიდ-19-ის სანინააღმდეგო ვაქცინაცია

ქვეყანაში მიმდინარეობს საყოველთაო ვაქცინაცია. სრულყოფილი ვაქცინაციისთვის აუცილებელია ორჯერ აცრა. დოზებს შორის ინტერვალი 21-28 დღეა. სამედიცინო დაწესებულებას ირჩევთ სურვილის მიხედვით.

მოქალაქეებისთვის COVID-19-ის სანინააღმდეგო ვაქცინაციის საკითხის გამარტივების მიზნით შეიქმნა ელექტრონული სისტემა, სადაც რეგისტრაცია შეუძლია ვაქცინაციის მსურველებს.

ვაქცინაციისთვის აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://booking.moh.gov.ge>

ვაქცინაციასთან დაკავშირებული სხვა შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით შემდეგ ნომერზე - **1522**.

**ვაქცინაცია უფასოა!**

ცხელი ხაზის სამუშაო საათები: 09.00-23.00 სთ.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ ეწვიოთ შემდეგ ვებ-გვერდებს: <http://www.ncdc.ge>

**ბოლნისის მუნიციპალიტეტში ვაქცინაცია შესაძლებელია შემდეგ კლინიკებში:**

- შპს სავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება  
მისამართი: ბოლნისი, დაბა კაზრეთი
- შპს “ქვეშის საექიმო ამბულატორია”  
მისამართი: ბოლნისი, ქვეში
- შპს “ბოლნისის ცენტრალური კლინიკა”  
მისამართი: ბოლნისი, დ.აღმაშენებლის ქ.No25
- შპს „ტრიო-მედი”  
მისამართი: ბოლნისი. ს.ს. ორბელიანის 122
- ბოლნისი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი  
მისამართი: ბოლნისი სააკაძის ქ.45

**ვაქცინაცია  
უფასოა!**

**სრულყოფილი  
ვაქცინაციისთვის  
აუცილებელია ორჯერ აცრა.  
დოზებს შორის ინტერვალი  
21-28 დღეა.**

**ვაქცინაციისთვის  
აუცილებელია წინასწარი  
რეგისტრაცია, შემდეგ  
ელექტრონულ მისამართზე:  
<https://booking.moh.gov.ge>**

**რეგისტრაციასთან  
დაკავშირებით  
კონსულტაციისთვის  
დარეკეთ - 144 (3)**

**ვაქცინაციასთან  
დაკავშირებული  
შეკითხვებისთვის დარეკეთ  
შემდეგ ნომერზე - 1522.**

**დამატებითი  
ინფორმაციისთვის ეწვიეთ:  
<http://www.ncdc.ge>**

# ხანდაზმულთა უფლებების დაცვა

ხანდაზმულთა რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედს შეადგენს. ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის<sup>19</sup> მიერ 2020 წელს ჩატარებულ კვლევაში (ხანდაზმულთა სოციალური დაცვა საქართველოში პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის ანალიზი) ვკითხულობთ, რომ საქართველოს მოსახლეობის 19.8% შეადგენენ ხანდაზმულები. მიუხედავად ამისა სახალხო დამცველის აპარატის მიერ ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები აჩვენებს, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევაა ხანდაზმულთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მხრივ.

**იმ შემთხვევაში, თუ თქვენი უფლებები ირღვევა, თქვენი უფლებების დასაცავად შეგიძლიათ მიმართოთ ორგანიზაციებს, სადაც გაგიჩვენენ უფასო იურიდიულ კონსულტაციას, და ასევე, შესაძლებელია, უფასო იურიდიული მომსახურების მიღება.**

გამოწვევები ძირითადად სისტემური ხასიათისაა და შესაბამისად სისტემურ, კომპლექსურ პრობლემებს უკავშირდება. სახალხო დამცველის მოხსენებაშიც<sup>20</sup> (2019 წელი, 1 ოქტომბერი - ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე) აღნიშნულია: „პრობლემებს შორის აქტუალურია „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ პარალელურად მის განსახორციელებლად საჭირო ეროვნული სამოქმედო გეგმის არარსებობა, ხანდაზმულთა ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია, ძალადობა, მათ შორის ოჯახში ძალადობა და ამ მიმართულებით სრულფასოვანი სტატისტიკური მონაცემების არარსებობა, მძიმე სოციალურ ეკონომიკური და საცხოვრებელი პირობები, სიღარიბე და უსახლკარობის საფრთხე, ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის პრობლემა, ხანდაზმულებზე ზრუნვის ყოვლისმომცველი გრძელვადიანი სტრატეგიის არარსებობა, სოციალური მომსახურების არაეფექტიანობა, არასაკმარისი მიზნობრივი პროგრამები, ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ხანდაზმულთა კეთილდღეობაზე ზრუნვის მიზნით გატარებული ღონისძიებების ნაკლებობა და სხვა“.



19 ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი.2020. ხანდაზმულთა სოციალური დაცვა საქართველოში - პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის ანალიზი. თბილისი

20 საქართველოს სახალხო დამცველი.2019.ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე. [https:// www.ombudsman.ge/geo/190510074540siakhleebi/khandazmulta-saertashoriso-dghe](https://www.ombudsman.ge/geo/190510074540siakhleebi/khandazmulta-saertashoriso-dghe)



ხანდაზმულთა უფლებების დაცვის მიზნით, საქართველომ შეიმუშავა ეროვნული სამოქმედო გეგმა<sup>21</sup> („საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ დადგენილება - „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“) ხანდაზმულთათვის საჭიროებაზე მორგებული მომსახურებების პოლიტიკის განვითარება, ხანდაზმულთა უფლებების დაცვის მიზნით, თუმცა, როგორც სახალხო დამცველის მონიტორინგის ანგარიშიც და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშიც ცხადყოფს, აღსრულება არაეფექტურად და ფრაგმენტულად მიმდინარეობს. შედეგად კი, ხანდაზმულთა საჭიროებები კვლავ უგულებელყოფილია და მათი უფლებების დაცვაც არ ხდება. სახელმწიფოს კი ევალება უზრუნველყოს საჭიროებების კვლევა და მონაცემებზე დაფუძნებით შეიმუშავოს შესაბამისი პოლიტიკა.

## გენდერი და ხანდაზმულობა

2018 წელს ჩატარებული კვლევის „გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები“ მიხედვით გენდერული უთანასწორობა და ქალთა უფლებების დარღვევა მრავალი მიმართულებით გვხვდება. სახეზეა თავად საკანონმდებლო დონეზე არსებული გამოწვევებიც. სხვადასხვა კვლევის ანგარიშები ცხადყოფს, რომ ქალებს ნაკლებად აქვთ ხელმისაწვდომობა დასაქმების, ჯანდაცვის, სოციალურ, კულტურულ და სხვა მომსახურებებზე. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, ხანდაზმული ქალები ასევე ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლნიც ხშირად ხდებიან, მაშინ როდესაც მსოფლიო თანხმდება რომ ქალთა გაძლიერების პროცესში, მათი ეკონომიკური გაძლიერება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმულ ქალებს მნიშვნელოვანი დოვლათის შექმნა შეუძლიათ და ბიუჯეტშიც შეაქვთ წვლილი, მაინც რჩებიან სტერეოტიპული იარლიყების ჩრდილში მოქცეულნი.

ქალთა და განსაკუთრებით ხანდაზმულ ქალთა უფლებების დაცვისთვის მნიშვნელოვანია მათი გაძლიერება უფლებების შესახებ ცნობიერების გაზრდით, აქტიური ხანდაზმულობის პოლიტიკის განვითარებით, ხანდაზმული ქალების და მამაკაცების თანაბრად ჩართვით პოლიტიკის შემუშავების პროცესში და რა თქმა უნდა, მათი ეკონომიკური გაძლიერებით. ქალთა (ხანდაზმულ ქალთა) უფლებებს იცავს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ<sup>22</sup>.



21 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა ეყრდნობა მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმას  
22 საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=9>



**თქვენი უფლებების დასაცავად შეგიძლიათ  
მიმართოთ ორგანიზაციებს, სადაც გაგინახვენ უფასო იურიდიულ  
კონსულტაციას და უფასო იურიდიული მომსახურებას.**

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი**

მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 80. საფოსტო ინდექსი 0102

ელ. ფოსტა: [info@ombudsman.ge](mailto:info@ombudsman.ge)

ვებ-გვერდი: [www.fb.com/OmbudsmanofGeorgia/](http://www.fb.com/OmbudsmanofGeorgia/)

**ცხელი ხაზი: 1481 (24/7)**

**ქვემო ქართლის ტერიტორიული ერთეული**

მის.: მარნეული, რუსთაველის #61ბ

ტელ.: 591701073 ; 1481

**სამუშაო საათები:** მუშაობს 24 საათიან რეჟიმში, მათ შორის, არასამუშაო დღეებსა და საათებში

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)**

აღნიშნულ ორგანიზაციას შეუძლია გაგინიოთ იურიდიული კონსულტაცია და საჭიროების შემთხვევაში მუშაობს უფლებების დაცვაზეც.

ტელ.: (995 32) 299 50 76

მის.: თბილისი, უზნაძის ქ. #101

ელ. ფოსტა: [gyla@gyla.ge](mailto:gyla@gyla.ge)

**ქვემო ქართლის ტერიტორიული ერთეული**

მის.: ქ. რუსთავი კოსტავას 15 ა/5, ს.ი. 3700;

საკონსულტაციო ტელეფონი (0341) 255337;

ელ-ფოსტა: [rustavi@gyla.ge](mailto:rustavi@gyla.ge)

**უფასო იურიდიული დახმარების სამსახური**

აღნიშნულ ორგანიზაციას შეუძლია გაგინიოთ იურიდიული კონსულტაცია.

ელ-ფოსტა: [info@legalaid.ge](mailto:info@legalaid.ge)

ვებ-გვერდი: [www.legalaid.ge](http://www.legalaid.ge)

**კონსულტაციის ცხელი ხაზი: 1485 ან +995 (32) 2920055**

**სამუშაო საათები:** ორშაბათი-პარასკევი - 10 საათიდან 18 საათამდე

## გზამკვლევის დანართი

თუ გსურთ წერილით მიმართოთ ადგილობრივ თვითმმართველობას, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, შეგიძლიათ წერილი ქვემოთ მოცემულ ფორმით დაწეროთ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ/ქალბატონ -----

მოქ. -----,

მცხ. -----

ტელ./მობ.: -----

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ -----

გთხოვთ, ჩამართოთ -----

პროგრამაში, ერთჯერადი (სამედიცინო, ფულადი, და ა.შ) დახმარების მისაღებად.

განმცხადებელი: -----

ხელმოწერა -----

-----

რიცხვი/თვე/წელი.

თუ გსურთ წერილით მიმართოთ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, შეგიძლიათ წერილი ქვემოთ მოცემულ ფორმით დაწეროთ.

იძულებით გადაადგილებულ პირთა,  
შრომის, ჯანმრთელობის და  
სოციალური დაცვის სამინისტროს  
მოქალაქის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამაში ჩართვაზე  
პასუხისმგებელ პირს

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ-----

გთხოვთ დამიკმაყოფილოთ აღნიშნული განცხადება და-----

მოქალაქე სახელი/გვარი: -----

მისამართი: -----

პირადი ნომერი: -----

ტელეფონი: -----

ხელმოწერა -----

რიცხვი/თვე/წელი -----